სწავლების მეთოდებია: ლექცია, ინტერაქტიული ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა.

ხოლო შეფასების მეთოდებია: ზეპირი და/ან წერილობითი გამოკითხვა და პრაქტიკული დავალება დაკვირვებით.

პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.

სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მოვლა და კვება

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: მეოთხე

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 11კვირა(220 სთ)

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 20 სთ.

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური 6 მაქსიმალური 10

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება

პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანია მოამზადოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრი, რომელიც შეძლებს: ცხოველთა სახეობების მიხედვით სადგომების საჭიროებათა იდენტიფიცირებას და მისი პარამეტრების განსაზღვრას; ცხოველთა კვებისათვის ვარგისი საკვების იდენტიფიცირება/დამზადება/ დასაწყობება/შენახვას; ცხოველის კვების საჭიროების განსაზღვრას; კვების წინა მომზადებას; სხვადასხვა სახეობის და ასაკობრივი ცხოველების კვების ნორმების გაანგარიშებას და სანიმუშო ულუფების შედგენის წესებს. პირადი ჰიგიენის, შრომის უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვისა და სურსათის უვნებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით.

პროგრამის გავლის შედეგად მიღებული ცოდნა და უნარები ხელს შეუწყობს მსმენელების დასაქმებას ფერმერულ მეურნეობაში, ასევე შეძლებენ თვითდასაქმებას და საკუთარი ბიზნესის აწყობას.

პროფესიული მომზადების პროგრამა არის უმოკლესი გზა დასაქმებისაკენ.

სწავლის შედეგები:

1. პროფესიული მოვალეობები. შრომის უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების და სურსათის უვნებლობის მოთხოვნები;
2. სადგომების პარამეტრების განსაზღვრა და დატვირთვა ცხოველთა სახეობების მიხედვით;
3. სხვადასხვა სახეობის და ასაკობრივი ცხოველის ჯგუფების კვება;
4. არსებული საკვები რესურსებით ცხოველთათვის სანიმუშო ულუფის შედგენა.





პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს დაშვების წინაპირობას და აქვს სურვილი მოკლე დროში შეიძინოს კონკრეტული ცოდნა/უნარები და დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით.

პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლიობა შეადგენს 11 კვირას, კვირაში - 20 საათი, სულ 220 სთ. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებულია როგორც თეორიული ცოდნის შეძენა, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარება. სწავლება განხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული მეთოდოლოგიით, მაღალი კვალიფიკაციის და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტის მიერ, შრომის უსაფრთხოების და თანამედროვე რეგულაციების გათვალისწინებით. თეორიული სწავლის შედეგების მიღწევა განხორციელდება კოლეჯის ბაზაზე, სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიში(A გარემო) , ხოლო პრაქტიკული კომპონენტის შესწავლა მოხდება პარტნიორი ორგანიზაციების (ფერმერული მეურნეობები) ბაზაზე, რეალურ სამუშაო გარემოში (C1 და C2 გარემო).

სწავლებისა და შეფასებისთვის გამოყენებული იქნება პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი მეთოდები (ინტერაქტიული ლექცია, პრეზენტაცია, დემონსტრირება, ინსტრუქტაჟი, პრაქტიკული დავალება, შემთხვევების ანალიზი, გამოკითხვა, მსმენელების მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაკვირვება).

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერთიფიკატს - დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდა და უნარები.

ხე-ტყის დამზადება

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: მეოთხე

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 8 კვირა (200 სთ)

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 25 სთ.

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური 8 მაქსიმალური 12

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

- ასაკი +18
- სრული ზოგადი განათლება

პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანია მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრი, რომელიც შეძლებს: ტყის ძირითადი მერქნიანი სახეობების ამოცნობას, უსაფრთხოების წესების დაცვით საჭირო ინვენტარის გამოყენებას, ხის მოჭრის/დამზადების პროცედურების შესრულებას, მოჭრილი ხე-ტყის დახარისხება-გამოზიდვა-ტრანსპორტირებას და სამუშაოს ორგანიზებას ხე-ტყის დამზადებისას. სამუშაოს შესრულებისას თანმდევი რისკების შეფასებას და პრევენციას, საჭიროების შემთხვევაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას.

კურსდამთავრებული შეძლებს დასაქმებას სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებულ ტყის ფართობებში. პროფესიული მომზადების პროგრამა არის უმოკლესი გზა დასაქმებისაკენ.

სწავლის შედეგები:

1. პროფესიისა და სამუშაო გარემოს გაცნობა
2. შრომის უსაფრთხოება და პირველადი გადაუდებელი დახმარება სატყეო საქმეში
3. ტყის ძირითადი მერქნიანი სახეობები
4. ხის მოჭრა-დამზადების პროცედურები
5. მოჭრილი ხე-ტყის დახარისხება-გამოზიდვა-ტრანსპორტირება





6. სამუშაოს ორგანიზება ხე-ტყის დამზადებისას

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ სრულწლოვან პირს, რომელიც აკმაყოფილებს დაშვების წინაპირობას და აქვს სურვილი მოკლე დროში შეიძინოს კონკრეტული ცოდნა/უნარები და დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით.

პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლიობა შეადგენს 8 კვირას, კვირაში - 25 საათი, სულ 200 სთ. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებულია როგორც თეორიული ცოდნის შექმნა (40%), ასევე პრაქტიკული უნარების განვითარება (60%). სწავლება განხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული მეთოდოლოგიით, სწავლის შედეგების თეორიული კომპონენტის შესწავლა განხორციელდება კოლეჯის ბაზაზე, სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიაში (A გარემო), ხოლო პრაქტიკული კომპონენტის გავლა მოხდება პარტნიორ ორგანიზაციაში, საწარმოს ინსტრუქტორის ჩართულობით, (C გარემო). მაღალი კვალიფიკაციის და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტის მიერ, შრომის უსაფრთხოების და თანამედროვე რეგულაციების გათვალისწინებით.

სწავლებისა და შეფასებისთვის გამოყენებული იქნება პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი მეთოდები (ლექცია, დემონსტრირებით სწავლება, პრაქტიკული მეცადინეობა, ინსტრუქტაჟი, გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება-დაკვირვებით).

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს - დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.

ვებ გვერდის დამზადება და მართვა

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: მეოთხე

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 16 კვირა (240 სთ)

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 15 სთ.

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური 8 მაქსიმალური 12

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

- ასაკი +18
- სრული ზოგადი განათლება

პროგრამის მიზნები:

პროფესიული მომზადების პროგრამის „ვებგვერდის დამზადება და მართვა“ მიზანია მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი უნარ-ჩვევების კონკურენტუნარიანი კადრები ვებტექნოლოგიების სფეროსთვის, რომლებიც შეძლებენ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნან ვებგვერდისთვის ვებინტერფეისის როგორც დიზაინი, ასევე - დეველოპინგი (front-ის მხარე), ვებგვერდის მართვის სისტემების (CMS) ინსტალაცია და მართვა.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები, შეძენილი ცოდნა-უნარებით, შეძლებენ დასაქმებას სხვადასხვა ორგანიზაციებში ვებდეველოპერად, ვებგვერდის მხარდაჭერ სპეციალისტად ან ვებდიზაინერად. ასევე თვითდასაქმებას.

პროგრამის მიზანია შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა ხელშეწყობა.

პროფესიული მომზადების პროგრამა არის უმოკლესი გზა დასაქმებისთვის.





სწავლის შედეგები:

1. ვებგვერდის სტრუქტურის აგება, სხვადასხვა ტეგები, გრაფიკული ობიექტის ასახვა
2. ვებგვერდის სტილებით გაფორმება და მაკეტის შექმნა
3. მარტივი (წრფივი) ამოცანის გადაწყვეტა JavaScript ენის ძირითადი ელემენტების გამოყენებით
4. ამოცანის გადაჭრა ძირითადი კონსტრუქციების გამოყენებით და JavaScript-ის ბიბლიოთეკების ინტეგრაცია ვებგვერდთან
5. ვებგვერდის მართვის სისტემების (CMS) ინსტალაცია და მართვა
6. დამატებითი კომპონენტების დაყენება/გამოყენება და არსებული ვებგვერდის სტრუქტურის ან შემცველობის შეცვლა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროფესიული მომზადების პროგრამაზე „ვებგვერდის დამზადება და მართვა“ სწავლა შეუძლია პირს, რომელიც აკმაყოფილებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას და აქვს სურვილი მოკლე დროში შეიძინოს კონკრეტული ცოდნა /უნარები პროგრამიდან გამომდინარე და დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით.

პროგრამა განხორციელდება სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ ბაზაზე, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიით. მეცადინეობა ჩატარდება მაღალკვალიფიციურ სპეციალისტების მიერ, სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიაში (B გარემო).

პროგრამის ხანგრძლიობაა 16 კვირა, 240 სთ, კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა 15 სთ. სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული იქნება შემდეგი სწავლის მეთოდები: ინტერაქციული ლექცია; დემონსტრირება; კეთებით ინსტრუქტაჟი; პრაქტიკული სავარჯიშო. ხოლო შეფასებისათვის - განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, კერძოდ, მსმენელების განმავითარებელი შეფასება მოხდება ყოველ კვირას, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება ჩატარდება მე-5, მე-8 და მე-16 კვირას, შეფასების მეთოდით-პრაქტიკული დავალება.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.

თმის შეჭრა და ვარცხნილობების მოდელირება

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: მესამე

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 12კვირა(235 სთ)

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 20 სთ.

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური 8 მაქსიმალური 12

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: საბაზო განათლება

პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად მოამზადოს კონკრეტული ცოდნისა და პროფესიული უნარების მქონე კვალიფიციური კადრი, რომელიც შეძლებს თმის შეჭრასა და ვარცხნილობის მოდელირებას შესაბამისი სტანდარტების დაცვით .

პროფესიული მომზადების პროგრამის მიზანია შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა.

პროფესიული განათლება არის უმოკლესი გზა დასაქმებისაკენ.

სწავლის შედეგები:

1. ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპები და სამუშაო გარემოს ორგანიზება
2. თმის შეჭრა და საბოლოო ფორმის მიცემა
3. წვერ-ულვაშისა და ბაკენბარდების მოდელირება
4. ვარცხნილობების შესრულება სხვადასხვა ფორმით და სტილით

პროგრამის მოკლე აღწერა:





პროფესიული მომზადების პროგრამაზე „თმის შეჭრა და ვარცხნილობის მოდელირება“ სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ სრულწლოვან საბაზო განათლების მქონე პირს, რომელსაც სურვილი აქვს მოკლე დროში მიიღოს კონკრეტული ცოდნა/უნარები და დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით.

პროგრამის ხანგრძლივობაა 12 კვირა, 235 საათი, კვირეული დატვირთვა 20 სთ, ბოლო კვირას 15 სთ - შეფასება.

სწავლა განხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიით, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, შრომის უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების გათვალისწინებით.

სწავლის შედეგების მიღწევა განხორციელდება სსიპ კოლეჯში „ოპიზარი“ , სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილ C-სასწავლო გარემოში. პროგრამით გათვალისწინებული მასალის შესწავლისას გამოყენებული იქნება სწავლის მეთოდები: მინი ლექცია, დემონსტრირება, პრაქტიკული მეცადინეობა. მსმენელების შეფასებისას გამოყენებული იქნება ყოველკვირეული განმავითარებელი შეფასება, ხოლო პროგრამის ბოლოს - განმსაზღვრელი შეფასება, შეფასების მეთოდით - პრაქტიკული დავალება -დაკვირვებით.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებულები მიიღებენ კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიის დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.

სასტუმრო დასუფთავების მომსახურება

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: მესამე

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 8კვირა(150 სთ)

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 10-20 სთ.

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური 6 მაქსიმალური 8

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

- ასაკი +18
- სრული ზოგადი განათლება

პროგრამის მიზნები:

პროფესიული მომზადების პროგრამის „სასტუმროს დასუფთავების მომსახურება“ მიზანია მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი კომპეტენციის კონკურენტუნარიანი კადრი, რომელიც შეძლებს სასტუმრო ინდუსტრიაში სასტუმროს ნომრისა და საზოგადოებრივი არეალის სისუფთავის უზრუნველყოფას, აგრეთვე დამატებითი განყოფილებების, სამრეცხაოსა და რესტორნის სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფას სტანდარტული სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების შესაბამისად, უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს, მიღებული ცოდნა-უნარებით ტურისტულ ინდუსტრიაში დასაქმებას და/ან კარიერულ წინსვლას.

პროფესიული მომზადების პროგრამა არის უმოკლესი გზა დასაქმებისაკენ.

სწავლის შედეგები:

1. სასტუმრო ინდუსტრია, მისი საწარმოო ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვის პრინციპები
2. სასტუმროს ნომრებისა და საზოგადოებრივი არეალის სისუფთავის უზრუნველყოფა
3. დასუფთავების განყოფილების დამატებითი მომსახურებები
4. სამრეცხაო განყოფილების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა
5. რესტორნის-სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა
6. უსაფრთხოების ზომების კონტროლი





პროგრამის მოკლე აღწერა:

პროფესიული მომზადების პროგრამაზე „სასტუმროს დასუფთავების მომსახურება“ სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას და აქვს სურვილი შეიძინოს ცოდნა დაუნარები აღნიშნული მიმართულებით.

პროგრამის ხანგრძლივობაა 8 კვირა, 150 სთ, კვირეული დატვირთვა პირველი - მე-7 კვირა 20 სთ, მე-8 კვირა - 10 სთ (შეფასება). სწავლება განხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიით. თეორიული საკითხების შესწავლა მოხდება (I -II კვირა) სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“ ბაზაზე, სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიაში (A გარემო), ხოლო პრაქტიკული კომპონენტის შესწავლა და შეფასება განხორციელდება პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე (III – VIII კვირა), მაღალვალიფიციური კადრების მიერ.

სწავლებისა და შეფასებისთვის გამოყენებული იქნება პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი მეთოდები: ლექცია, დემონსტრირება, ინსტრუქტაჟი, პრაქტიკული მეცადინეობა. განმავითარებელი შეფასება ჩატარდება ყოველკვირეულად, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება მე-2 კვირის და პროგრამის დასრულების ბოლოს, მეთოდებით: გამოკითხვა და პრაქტიკული დავალება-დაკვირვებით.

პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.

ქალის ტანსაცმლის კერვა

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: მესამე

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 14 კვირა(290 სთ)

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 15-25 სთ

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური 8 მაქსიმალური 14

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- საბაზო განათლება
- ასაკი - მინიმუმ 18 წელი

პროგრამის მიზნები:

პროფესიული მომზადების პროგრამა „ქალის ტანსაცმლის კერვა“ მიზნად ისახავს შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, რომლებიც პროგრამის გავლის პერიოდში შეისწავლიან: სატანსაცმლე მასალის სახეებს და შერჩევის წესებს, ტანსაცმლის დამუშავების საწყისებსა და ზოგად ტექნოლოგიას; ქალის ტანსაცმლის კონსტრუირება - მოდელირებას; ქალის სხვადასხვა სახის ტანსაცმლის მასალაში შესრულებას შრომის ნორმებისა და უსაფრთხოების წესების დაცვით.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები, შეძენილი ცოდნა-უნარებით, შეძლებენ დასაქმებას დიდი, საშუალო და მცირე ზომის სამკერვალო საწარმოებში, მოდის სალონებში, ასევე თვითდასაქმებას.

პროფესიული პროგრამის მიზანია შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულისათვის ხელშეწყობა. პროფესიული მომზადების პროგრამა არის უმოკლესი გზა დასაქმებისთვის.

სწავლის შედეგები:

1. პროფესიული მოვალეობები და სამუშაო გარემოში უსაფრთხოების წესების დაცვა
2. სატანსაცმლე მასალების ასორტიმენტ
3. ტანსაცმლის დამუშავების საწყისები და ზოგადი ტექნოლოგია
4. ქალის ტანსაცმლის კონსტრუირება და მოდელირება(ქვედაკაბა,შარვალი, მსუბუქი კაბა)





5. ქალის ტანსაცმლის მასალაში შესრულება(ქვედა კაბა , შარვლი , მსუბუქი კაბა, კოფთა)

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროფესიული მომზადების პროგრამაზე „მკერავი“ სწავლა შეუძლია პირს, რომელსაც აქვს სურვილი მოკლე დროში შეიძინოს კონკრეტული ცოდნა /უნარები პროგრამიდან გამომდინარე და დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით.

პროგრამა განხორციელდება სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ ბაზაზე, თეორიული მეცადინეობა ჩატარდება სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიაში (A გარემო) , ხოლო პრაქტიკული მეცადინეობა - სასწავლო სახელოსნოში (C გარემო). სწავლა განხორციელდება მაღალკვალიფიციურ სპეციალისტების მიერ, შრომის უსაფრთხოების თანამედროვე რეგულაციების გათვალისწინებით.

პროგრამის ხანგრძლიობაა 14 კვირა, 290 საკონტაქტო საათის მოცულობით და კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა 15-25 სთ. სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული იქნება შემდეგი სწავლის მეთოდები: ინტერაქტიული ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, ხოლო შეფასებისათვის - განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, კერძოდ, მსმენელების განმავითარებელი შეფასება მოხდება ყოველ კვირას, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება ჩატარდება მე-2, მე-9 და მე-14 კვირას, სხვადასხვა შეფასების მეთოდების გამოყენებით: წერიტი მეთოდი - ღია ან/და დახურული ტესტი, პრაქტიკული დავალება-დაკვირვებით და პრაქტიკული დავალება - პროდუქტის შეფასება. პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.

ცხოველთა დაავადებები და პირველადი ვეტერინარული დახმარება

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: მეოთხე

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 13 კვირა(325 სთ)

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 25 სთ

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური 6 მაქსიმალური 10

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- სრული ზოგადი განათლება
- ასაკი - მინიმუმ 18 წელი



პროგრამის მიზნები:

პროფესიული მომზადების პროგრამა საშუალებას აძლევს პირებს შეიწავლონ კომპეტენციის ფარგლებში ცხოველთა ანატომიური აგებულება, ცხოველთა დაავადებების სახეები და მათი კლინიკური ნიშნები, ინფექციის კონტროლის საფუძვლები, საკარანტინო შეზღუდვები, ასევე, უზრუნველყოს პირველადი ვეტერინარული დახმარება და ჩაატაროს ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკა ექსპრეს ტესტების გამოყენებით.

პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს, მიღებული ცოდნა-უნარებით ფერმერულ მეურნეობებში დასაქმება/კარიერულ წინსვლას, თვითდასაქმებას და/ან კონსულტაციების გაწევას საჭიროებისამებრ.

პროფესიული მომზადების პროგრამა არის უმოკლესი გზა დასაქმებისაკენ.

სწავლის შედეგები:

1. ცხოველთა ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურებები;
2. ცხოველთა დაავადების სახეები; მათი აღწერა და გამომწვევები;
3. ინფექციის კონტროლის საფუძვლები და საიზოლაციო/საკარანტინო ღონისძიებები;



4. პირველადი გადაუდებელი ვეტერინარული დახმარების ჩატარება;
5. ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკა ექსპრეს ტესტების გამოყენებით.

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს პროგრამის დაშვების წინაპირობას და აქვს სურვილი მოკლე დროში შეიძინოს კონკრეტული ცოდნა და უნარები და იყოს დასაქმებული აღნიშნული მიმართულებით.

პროგრამა განხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული მეთოდოლოგიით. პროგრამის თეორიული კომპონენტის შესწავლა მოხდება სსიპ კოლეჯ „ოპიზარში“, სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიასა და სასწავლო ლაბორატორიაში (A გარემო) (I-X კვირა) და პარალელურად, IV – VII კვირებში მსმენელები პარტნიორი ორგანიზაციის (C₁ გარემო) ბაზაზე გაეცნობიან თემატიკის (მე-2 სწავლის შედეგი) შესაბამის თვალსაჩინო მასალას. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი (მე-4 და მე-5 სწავლის შედეგი) ჩატარდება პარტნიორ ორგანიზაციაში (C₂ გარემო) (XI-XIII კვირა), მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, შრომის უსაფრთხოების თანამედროვე რეგულაციების გათვალისწინებით.

პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 13 კვირას, სულ 325 სთ; კვირაში 25 სთ.

სწავლების მეთოდებია: ინტერაქტიული ლექცია, დისკუსია, კითხვა-პასუხი, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, შემთხვევის ანალიზი, პრაქტიკული მეცადინეობა.

ხოლო შეფასების მეთოდებია: ზეპირი და/ან წერილობითი გამოკითხვა და პრაქტიკული დავალება დაკვირვებით.

პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.

ხის დამუშავება და მხატვრული კვეთა

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: მესამე

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 10 კვირა(250 სთ)

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 25 სთ.

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური 6 მაქსიმალური 10

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

- ასაკი +16
- საბაზო განათლება

პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანია მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე კონკურენტუნარიანი კადრი, რომელიც შეძლებს მერქნისა და მერქნული მასალების მექანიკურ დამუშავებას სხვადასხვა ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულებით; შესაბამისი ხელსაწყოებისა და ჩარხ-დანადგარების შერჩევა/გამოყენებას უსაფრთხოების ნორმების დაცვით; დასრულებული ნაკეთობების აწყობა/მოპირკეთებას; ხის მხატვრული კვეთისათვის ესკიზების შექმნას და მარტივი კვეთის ნიმუშების დამზადებას.

პროფესიული მომზადების პროგრამის მიზანია შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა.

პროფესიული განათლება არის უმოკლესი გზა დასაქმებისაკენ.

სწავლის შედეგები:

1. მერქნისა და მერქნული მასალების სახეები და მათი ტექნოლოგიური დამუშავების პროცესები
2. სამუშაო გარემოში უსაფრთხოების ნორმები
3. ჩარხ-დანადგარებისა და ხელსაწყოების შერჩევა /უსაფრთხო მოხმარება
4. მერქნის მექანიკური დამუშავების ოპერაციების შესრულება
5. ხის ნაკეთობების აწყობა/მოპირკეთება
6. ხეზე კვეთისათვის ესკიზების შედგენა და მარტივი კვეთის ნიმუშების დამზადება





პროგრამის მოკლე აღწერა:

პროფესიული მომზადების პროგრამაზე „ხის დამუშავება და მხატვრული კვეთა“ სწავლა შეუძლია პირს, რომელსაც აქვს სურვილი მოკლე დროში შეიძინოს კონკრეტული ცოდნა /უნარები პროგრამიდან გამომდინარე და დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით.

პროგრამა განხორციელდება სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ ბაზაზე, თეორიული მეცადინეობა ჩატარდება სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიაში (A გარემო) , ხოლო პრაქტიკული მეცადინეობა - სასწავლო სახელოსნოში (C გარემო). სწავლა განხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიით, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტების მიერ, შრომის უსაფრთხოების თანამედროვე რეგულაციების გათვალისწინებით.

პროგრამის ხანგრძლიობაა 10 კვირა, 250 სთ, კვირეული საათობრივი დატვირთვა 25 სთ.

სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული იქნება შემდეგი სწავლის მეთოდები: ინტერაქტიული ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, დემონსტრირება. ხოლო შეფასებისათვის - განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, კერძოდ, მსმენელების განმავითარებელი შეფასება მოხდება ყოველ კვირას, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება ჩატარდება პროგრამის ბოლოს. შეფასების მეთოდით: პრაქტიკული დავალება - პროდუქტი, როგორც მტკიცებულება.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.

სატყეო სამეურნეო სამუშაოების შესრულება

პროგრამის სახე: პროფესიული გადამზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: მეოთხე

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 21 კვირა (223 სთ)

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 8-13 სთ

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური 10 მაქსიმალური 15

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: პირი რომელმაც მიაღწია 18 წელს და ყველადაინტერესებულ სრულწლოვან პირს, რომელსაც აქვს გარკვეული ცოდნა და გამოცდილება „სატყეო საქმეში“- და სურვილი აქვს მოკლე დროში შეიძინოს კონკრეტული ცოდნა-უნარები „სატყეო სამეურნეო სამუშაოების შესრულება“- პროგრამაში.



პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანია გაიღრმავონ ცოდნა/უნარები სატყეო სამეურნეო სამუშაოების შესრულებაში

- ხის ჭრის პროცესის მომზადება
- ხის მოჭრა
- მოჭრილი ხის გაწმენდა
- დამზადებული ხე-ტყის დახარისხება
- ჭრის ნარჩენების განთავსება
- დამზადებული ხე-ტყის გამოზიდვა
- სატრანსპორტო საშუალებებზე ხე-ტყის დატვირთვა
- ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებების აღწერა
- სამუშაოს ორგანიზება



- ფართობის მომზადება თესვისა და დარგვისათვის
- სარგავი მასალის მომზადება
- ნერგის/თესლნერგის დარგვა
- სამოქმედო ტერიტორიაზე ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების განხორციელება

აგრეთვე სპეციალობასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, გამოიმუშაოს შესაბამისი უნარები და კომპეტენციები, შეძლოს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება; იყოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ხის ჭრის პროცესის მომზადება
- ხის მოჭრა
- მოჭრილი ხის გაწმენდა
- დამზადებული ხე-ტყის დახარისხება
- ჭრის ნარჩენების განთავსება
- დამზადებული ხე-ტყის გამოზიდვა
- სატრანსპორტო საშუალებებზე ხე-ტყის დატვირთვა
- ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებების აღწერა
- სამუშაოს ორგანიზება
- ფართობის მომზადება თესვისა და დარგვისათვის
- სარგავი მასალის მომზადება
- ნერგის/თესლნერგის დარგვა
- .სამოქმედო ტერიტორიაზე ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების

განხორციელება პროგრამის შემუშავების საფუძველი:

პროგრამა შემუშავებულია: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის #656 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება: 80/ი 31.01.2019 წ.; 179/ი 07.03. 2019წ) „სატყეო საქმის- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულია სსიპ კოლეჯ „ოპიზარის- დირექტორის 2019 წლის 31 მაისის #41 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე- პროგრამას საფუძველად უდევს საქართველოს პარლამენტის მიერ 2013 წელს დამტკიცებული „საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია-, საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა 2014-2020 (საქართველოს მთავრობის დადგენილება N343, 08.05.2014წ)

პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო დამსაქმებლმა: სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტომ.



პროგრამის მოკლე აღწერა:

პროფესიული გადამზადების პროგრამაზე–სატყეო სამეურნეო სამუშაოების შესრულება– სწავლა შეუძლია პირს , რომლიც აკმაყოფილებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, რომელსაც აქვს სურვილი მიიღოს ცოდნა აღნიშნული მიმართულებით, გაიუმჯობესოს პრაქტიკული უნარები და გახდეს უფრო მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კადრი ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამის ხანგრძლივობა 21 კვირა,223 საკონტაქტო საათის მოცულობით და კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა საშუალოდ 8-13 სთ. სწავლების მეთოდებია : ინტერაქციული ლექცია /პრაქტიკული მეცადინეობა, ხოლო შეფასების მეთოდებია : პრაქტიკული დავალება/დაკვირვებით პროფესიული გადამზადების პროგრამაზე–სატყეო სამეურნეო სამუშაოების შესრულება– სწავლა განხორციელდება მოდულური სწავლების მეთოდოლოგიით, სწავლება უზრუნველყოფილია დარგის პროფესიული მასწავლებლის მიერ.

სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“ შესაბამისად აღჭურვილია კლას -კაბინეტებით; სასწავლო ლაბორატორიებით და საცდელი მიწის ნაკვეთით;

სატყეო სააგენტოს ტყის ჭრისათვის გამოყოფილი ფართობები;

სწავლა განხორციელდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ შრომის უსაფრთხოებისა და თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით;

პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერთიფიკატს

შეხვედრების/ღონისძიებების დაგეგმვის ორგანიზატორი

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: მეოთხე

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 8 კვირა(145 სთ)

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 15-25 სთ

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური 6 მაქსიმალური 10

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- საბაზო განათლება
- სრულწლოვანი



პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანია მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრი, რომელიც შეძლებს სხვადასხვა ტიპის შეხვედრების/ღონისძიებების დაგეგმვა-ორგანიზებას. კერძოდ, შეხვედრების/ღონისძიებების მიზნის და საჭიროებების განსაზღვრას, სამუშაო გარემოს მოწყობას და სამუშაო დროის დაგეგმვას, დავალებების შესრულების ვადებში გაწერას და მონიტორინგს, წერილობითი ტექსტის შედგენას, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას და საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფას, საქმიანი ურთიერთობის ეთიკისა და ეტიკეტის წესების დაცვას, საპროტოკოლო მომსახურებას, ღია და დახურული სივრცის აღჭურვას ღონისძიებისთვის საჭირო ტექნიკური რესურსით და რეკვიზიტებით, შეხვედრების/ღონისძიებების ორგანიზებას.

პროფესიული მომზადების პროგრამის დასრულების შემდეგ, მიღებული ცოდნა/უნარებით, კურსდამთავრებული შეძლებს დასაქმებას კერძო და/ან საჯარო სექტორში, შესაძლოა, გახდეს თვითდასაქმებულიც.

სწავლის შედეგები:

1. პროფესიული პროფილის გაცნობა და კარიერული შესაძლებლობების შეფასება;



2. სამუშაო გარემოს მოწყობა და სამუშაო დროის/დავალებების შესრულების უზრუნველყოფა;
3. წერილობითი ტექსტის შედგენა/გამართვა;
4. საქმიანი ურთიერთობების ეთიკისა და ეტიკეტის წესები, საპროტოკოლო მომსახურების უზრუნველყოფა;
5. მიღების/შეხვედრის საორგანიზაციო საკითხების უზრუნველყოფა;
6. შეხვედრებისა და ღონისძიებების დაგეგმვა/ორგანიზება.

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ სრულწლოვან პირს, რომელიც აკმაყოფილებს დაშვების წინაპირობას და აქვს სურვილი მოკლე დროში შეიძინოს კონკრეტული ცოდნა/უნარები და დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით.

პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 8 კვირას, კვირაში - 15-25 საათი, სულ 145 სთ. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებულია როგორც თეორიული ცოდნის შეძენა, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარება. სწავლება განხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული მეთოდოლოგიით, მაღალი კვალიფიკაციის და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტის მიერ. სწავლის შედეგების მიღწევა განხორციელდება კოლეჯის ბაზაზე, სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიაში. (ერთიანი A /B გარემო).

სწავლებისა და შეფასებისთვის გამოყენებული იქნება პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი მეთოდები (ინტერაქტიული ლექცია, დისკუსია, ჯგუფებში მუშაობა, სიტუაციური ამოცანების განხილვა, პრობლემის გადაჭრის ჯგუფური განხილვები, როლური თამაშები, პრეზენტაცია, პრაქტიკული მეცადინეობა, პრაქტიკული დავალება.)

სწავლების ბოლო VIII კვირას, მიღწეული პრაქტიკული უნარების დასადასტურებლად, მოეწყობა პრაქტიკული დავალების-პროექტის პრეზენტაცია/შეფასება.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერთიფიკატს - დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდა და უნარები.

ფრჩხილის დამუშავება და დაფარვა გელ-ლაქით

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: მესამე

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 8 კვირა(180 სთ)

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 25 სთ

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური 5 მაქსიმალური 10

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანია მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრი, რომელიც შეძლებს: ფრჩხილის მომსახურებისათვის სამუშაო სივრცის მოწყობას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და უსაფრთხოების წესების დაცვით; ალჭურვილობის, სამუშაო ინვენტარის და მასალების განთავსება/მოხმარება/მოვლას; ფრჩხილის მდგომარეობის შეფასებას, საჭირო პროცედურების ჩატარებას პირველადი და საბოლოო დამუშავებისას; ფრჩხილის დაფარვას გელ-ლაქით კლიენტის მოთხოვნების გათვალისწინებით და პროცედურების დაცვით.

პროფესიული მომზადების პროგრამის გავლის შედეგად მიღებული ცოდნა/უნარებით კურსდამთავრებული შეძლებს: დასაქმებას კერძო სექტორში, და/ან შესაძლოა გახდეს თვითდასაქმებულიც.

სწავლის შედეგები:

ორგანიზაციული მოწყობის პრინციპები. სამუშაო ადგილის მოწყობა უსაფრთხოებისა და ჰიგიენის ნორმების დაცვით; მასალების, სამუშაო იარაღებისა და ალჭურვილობის მოხმარება/განთავსების ნორმები; ფრჩხილის პირველადი დამუშავება და ფორმის მიცემა; ფრჩხილის საბოლოო დამუშავება; ფრჩხილის დაფარვა გელ-ლაქით.

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ სრულწლოვან პირს, რომელიც ამცყოფილებს დაშვების წინაპირობას და აქვს





სურვილი მოკლე დროში შეიძინოს კონკრეტული ცოდნა/უნარები და დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით.

პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 8 კვირას, კვირული დატვირთვა: I-VII კვირა - 25 სთ, VIII კვირა-5 სთ; სულ 180 სთ. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებულია როგორც თეორიული ცოდნის შეძენა, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარება. სწავლება განხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული მეთოდოლოგიით, მაღალი კვალიფიკაციის და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტის მიერ. სწავლის შედეგების მიღწევა განხორციელდება I-IV კვირა - კოლეჯის ბაზაზე, სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიაში. V- VII კვირა -რეალურ სამუშაო გარემოში პარტნიორი საწარმოს ბაზაზე.

სწავლებისა და შეფასებისთვის გამოყენებული იქნება პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი მეთოდები (ლექცია, დემონსტრირება, პრაქტიკული სავარჯიშო, პრაქტიკული მეცადინეობა, პრაქტიკული დავალება-დაკვირვებით.)

სწავლების ბოლო VIII კვირას, მიღწეული სწავლის შედეგების დასადასტურებლად, ჩატარდება შეფასება პრაქტიკული დავალება-დაკვირვებით.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერთიფიკატს - დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდა და უნარები.

კარტოფილის წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიები

პროგრამის სახე: პროფესიული გადამზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: მესამე

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 12 კვირა

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 15 სთ

სულ საკონტაქტო საათების რაოდენობა: 170 სთ

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური - 5 მაქსიმალური - 10

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: - საბაზო განათლება

- კარტოფილის მწარმოებელი ფერმერები



პროგრამის მიზნები:

- გადაამზადოს სპეციალისტები კარტოფილის გასამრავლებელი-სათესლე/სარგავი მასალის მიღების თანამედროვე, ინოვაციური მეთოდების შესწავლის და მათი მოვლითი ღონისძიებების მიმართულებით;
- განუვითაროს მსმენელებს საჭირო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, ასევე სათანადო კომპეტენციები, რათა შეძლონ გახდნენ კონკურენტუნარიანი კადრები და შეძლონ პროფესიული საქმიანობის წარმატებით განხორციელება.
- გადაამზადოს მსმენელები, რომელებსაც ეცოდინებათ კარტოფილის სათესლე მასალის მიღების ინოვაციური ტექნოლოგიები; ინვიტრო მეთოდით კარტოფილის სადედე მცენარეების მიღება; აპიკალების აჭრის მეთოდი; აპიკალების დაფესვიანება; ჩითილების გამოყვანა/მოვლა; ჩითილების გადარგვა და ღია გრუნტში, გადატანილი ჩითილების მოვლითი ღონისძიებები - ნიადაგის დამუშავება, კვება, მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ინტეგრირებული დაცვის ღონისძიებები, ირიგაცია, მოსავლის აღება.
- პროგრამა დაეხმარება მსმენელებს გაიუმჯობესოს ის კომპეტენციები, რომლებიც დაეხმარება მათ დასაქმებასა და თვითდასაქმებაში.

სწავლის შედეგები:

1. კარტოფილის სათესლე/სარგავი მასალის შერჩევა;
2. სათესლე მასალის წარმოების მეთოდები; ინვიტრო ლაბორატორიაში კარტოფილის სადედე მცენარეების წარმოება; აპიკალების აჭრა და გადატანა საჩითილეში.
3. ჩითილების გადარგვა ღია გრუნტში;
4. ღია გრუნტში გადატანილი კარტოფილის მცენარეების მოვლა-მოყვანის ღონისძიებები - ნიადაგის დამუშავება, მცენარეთა კვება, ირიგაცია, IPM, მოსავლის აღება და შენახვა.

პროგრამის მოკლე აღწერა:

„კარტოფილის წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიები“ არის პროფესიული გადამზადების პროგრამა, რომელზეც სწავლა შეუძლია საბაზო განათლების მქონე ყველა დაინტერესებულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს დაშვების წინაპირობას და აქვს სურვილი მოკლე დროში მიიღოს კონკრეტული ცოდნა/უნარები. გაიაროს პრაქტიკა და შეძლოს პროფესიული საქმიანობის წარმატებით განხორციელება.



პროგრამის ფარგლებში მსმენელები შეისწავლიან კარტოფილის სათესლე მასალების მიღების ინოვაციურ ტექნოლოგიებს; ინვიტრო ლაბორატორიაში კარტოფილის სადედე მცენარეების წარმოებას; სადედე მცენარეებიდან აპიკალების აჭრას, მათ გადარგვას საჩითილე კასეტებში, მოვლას და გადატანას ღია გრუნტში. აგრეთვე მათ შემდგომ მოვლა-მოყვანის ღონისძიებებს - ნიადაგის დამუშავება, მცენარეთა გამოკვება, ირიგაცია, მავნებელ-დაავადებათა კონტროლი, მოსავლის აღება და შენახვა.

სწავლება განხორციელდება პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიით მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, შრომის უსაფრთხოების თანამედროვე რეგულაციების გათვალისწინებით. სწავლა განხორციელდება, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების კეთილმოწყობილ აუდიტორიებში, ასევე რეალურ სამუშაო გარემოში: C - შპს „სასოფლო საკონსულტაციო სამსახური“ (C1-ლაბორატორია, C2-სადემონსტრაციო ნაკვეთი).

კოლეჯში და კომპანიაში თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის საშუალო კვირეული დატვირთვა არის 15 საათი, სულ - 170 საათი.

შეფასებისთვის გამოყენებული იქნება ტესტები, ზეპირი გამოკითხვა, პრაქტიკული დავალებები, მაგალითების განხილვა და ანალიზი, მსმენელების მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაკვირვება. განმავითარებელი შეფასება განხორციელდება ყოველ მეცადინეობაზე, განმსაზღვრელი შეფასება კი ჩატარდება სწავლის ბოლოს, რომლიც დროსაც შეფასდება მსმენელების თეორიულ ცოდნა და პრაქტიკული უნარები.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ ორენოვან სერტიფიკატს დანართით.

სამკურნალო მცენარეების დამზადება

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: მესამე

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 22 კვირა

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 15 სთ

სულ საკონტაქტო საათების რაოდენობა: 310 სთ

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური - 6 მაქსიმალური - 10

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

პროგრამის მიზნები:

მოამზადოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი კადრი, რომელიც

შემდგობს სამკურნალო მცენარეების იდენტიფიცირებას, სამკურნალო მცენარეების

კულტივირებას, შეგროვებას, სამკურნალო მცენარეული ნედლეულის დაამუშავებას, შეფუთვას და მარკირებას, ასევე მცენარეული ნედლეულის მავნებლებისაგან დაცვას, მცენარეთა ჰერბარიუმის გამზადებას.

სწავლის შედეგები:


1. სამკურნალო მცენარის იდენტიფიცირების, კულტივირების, შეგროვების, დამუშავება-შრობის, შეფუთვა-მარკირებისა და შენახვის თავისებურებათა დახასიათება;
2. სხვადასხვა სახის სამკურნალო სამკურნალო მცენარის ამოცნობა;
3. სამკურნალო მცენარეების კულტივირება (მიწის დამუშავება, თესვა, მოვლა, მოსავლის აღება უსაფრთხოების წესების დაცვით);
4. სხვადასხვა სახის სამკურნალო მცენარეული ნედლეულის შეგროვება, დამუშავება-შრობა უსაფრთხოების წესების დაცვით;
5. სამკურნალო მცენარეული ნედლეულის შეფუთვა-მარკირება, შენახვა უსაფრთხოების წესების დაცვით;
6. მცენარეთა დაცვის მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება;
7. მცენარეული ნედლეულის მავნებლებისაგან დაცვა;
8. მცენარეთა ჰერბარიუმის გამზადება.

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს დაშვების წინაპირობას და აქვს სურვილი მოკლე დროში შეიძინოს აღნიშნული ცოდნა/უნარები და დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 22 კვირას, 20 კვირის განმავლობაში კვირაში 15 საათი, 2 კვირის განმავლობაში კვირაში 5 საათი, სულ 310 სთ.

პროგრამით გათვალისწინებულია როგორც თეორიული ცოდნის შექმნა (30%), ასევე პრაქტიკული უნარების განვითარება (70%). სწავლება





განხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული მეთოდოლოგიით. თეორიული სწავლება ჩატარდება კოლეჯის სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიაში (A). პრაქტიკული მეცადინეობისთვის გამოყენებული იქნება კოლეჯის სასწავლო ნაკვეთი (C1), სამკურნალო მცენარეების გავრცელების არეალი (C2) და პარტნიორი ორგანიზაციის ბაზა (C3).

მსმენელების სწავლებისა და შეფასებისთვის გამოყენებული იქნება პროგრამის თემატიკის შესაბამისი მეთოდები. შეფასება ჩატარდება ორჯერ - მე-15 და 22-ე კვირას.

აღსანიშნავია, რომ სეზონურობის და კლიმატური პირობების გათვალისწინებით, შესაძლოა პროგრამაში წარმოდგენილი თემების სწავლების თანმიმდევრობა შეიცვალოს.

პროგრამის გავლის შედეგად მიღებული ცოდნა და უნარები ხელს შეუწყობს მსმენელების დასაქმებას პარტნიორ ორგანიზაციაში, ფერმერულ მეურნეობაში, სხვადასხვა სახის აგროფირმებში, ფიტოაფთიაქების ქსელში, ასევე შეძლებენ თვითდასაქმებას და საკუთარი ბიზნესის აწყობას.

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები მიიღებენ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ ორენოვან სერტიფიკატს დანართით.